საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-445

23/05/2019

ქ. თბილისი

ადიგენის მუნიციპალიტეტში „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დაბა აბასთუმნის საკანალიზაციო სისტემის და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის 10-ე პუნქტის 10.6 ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, დაბა აბასთუმნის საკანალიზაციო სისტემის და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა №45 (18.04.2019);
2. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ სავალდებულოა გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №45 (18.04.2019) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“
4. ბრძანება ძალაში შევიდეს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ადიგენის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში

ლევან დავითაშვილი

მინისტრი